სამშაბათი 15 მაისი 1907 წ.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 103

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მრავალ თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ"

**დარია გრიგორის ასული ხატიშვილისა, მარიამ გრიგორის ასული იმედაშვილისა და სოფიო გრიგორის ასული გაბაშვილისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარ და საყვარელ დის

## ელისაბედ გრიგორ. ასულის ჯუმუხაძისას.

გამოსვენება დღეს, 15 მაისს, საკუთარ სახლიდან, დილის 9½ საათზე კალოუბნის ეკკლესიაში და შემდეგ დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

**ანტონ გიორგის ძე, თამარ გიორგის ასული, დიმიტრი დავითის ძე და ანნა ივანეს ასული ჯუმუხაძენი**, ღრმად შეწუხებულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ორი—დაუვიწყარ და საყვარელ დედის, ხოლო დანარჩენნი—საყვარელ რძლის

## ელისაბედ გრიგორ. ასულის ჯუმუხაძისას.

გამოსვენება დღეს, სამშაბათს, 15 მაისს, დილის 9½ საათზე საკ. სახლიდან ფომინის შესახვევი, № 12, კალოუბნის ეკკლესიაში და შემდეგ დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—90—1)

ოთხშაბათს, 16 მაისს, შუადღის 12 საათზე, დიდუბის სასაფლაოზე მოსკოვიდან მოსვენებულ ცხედრის

## კნ. სოფიო ვასილის ასულის ამირაჯიბის

საფლავზე გადახდილი იქნება პანაშვიდი; მოხდება აგრეთვე კურთხევა ძეგლისა, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ოჯახი და ძმა ოჯახობით. (2—93—1)

**თინათინ დავითის ასული, თამარა ლევანის ასული და ევგენი ლევანის ძე დიდებულიძეები**, ღრმად შეწუხებულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი—ქმრის, მეორე და მესამე—მამის

## ლევან ევგენის ძის დიდებულიძის

გადაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე დღეში ორჯელ დილის 10 საათზე და საღამოს 5 საათზე. მიხეილის საავადმყოფოში. განსვენება 16 მაისს, 11 საათზე, და დაკრძალვა სოფელ აცუცაში 17 მაისს. (1—94—1)

# იაფი ვაჭრობა

## ცოტა ხნით

# „პარიზის მაღაზია"

დამზადებულ საქონლისა

## ძმ. საფარიანცების და ტერ-საკოვისა.

ფასები საქონელზე დანიშნულია იმდენი,

**რამდენიც ქარხანაში ღირს და იმაზე ნაკლებიც.**

ვთხოვთ ყველას დარწმუნდეს პირადად.

## ფასები შეუვაჭრებლად.

(5—85—3)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**განაზა და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი

**ვ. ხ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა. საკ, სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—105)

ქ. ქუთაისში

**ბავშვების ექიმი ბადრიძე**

ავადმყოფებს მიიღებს დილით 9—12, საღამოთი 5—6 საათამდე, პოლიციის ქუჩა, სახლი ციციაშვილისა. (25—ფ.—19)

## მასწავლებელ ქალთა საზოგადოება

(პუშკინის ქუჩა, № 3, საკრედიტო საზოგადოების სახლი)

**მასწავლებელი ქალები** აძლევენ გაკვეთილებს, ასწავლიან ყველა საგანს, ადგილობრივ და ტფილისს გარედ. (15 - 5)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—102)

**საარტისტო საზოგადოების თეატრი.**

ქართული წარმოდგენა

ოთხშაბათს, 16 მაისს, ქართულ დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილ იქნება ახალი პიესა

## სოფელი

პიესა ოთხ მოქ. სვ. ყიფიანისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ.ქ. ტ. აბაშიძე, გაბუნია-ცაგარლისა, გამყრელიძე, ივანიძე, **ნინო ჩხეიძე**, ბ.ბ. აბაშიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, იმედაშვილი, სვიმონიძე, კ. ყიფიანი, ჩარკვიანი, შათირიშვილი, რომანიშვილი, მატარაძე და სხ.

ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8½ საათზე.

(4—უ—3) რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

ექიმი

**ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—50)

# სარგებლეთ შემთხვევით

## სავაჭრო სახლმა

# „ძმანი აკოფჯანოვები და სარქისიანცი",

რომელსაც აქვს დამზადებულ ტანისამოსის (ქალებისა და ბავშვების) მაღაზიები ტფილისში:

1. **გოლოვინის პროსპექტზე, მანთაშევის სახლში „ექსელსიორის" ფირმით.**
2. **ნიკოლოოზის ხიდზე, ქამოევის სახლში**

აგრეთვე განყოფილებანი ბაქოსა ეკატერინოდარში, გადასწყვიტა შეამციროს მაღაზიები, ამიტომ უკანასკნელ სეზონის მთელ საქონელს, **300,000** მანეთისას, ჰყიდის ნახევარ ფასად.

მთელი საქონელი დამზადებულია საკუთარ ფაბრიკაში ქ. ოდესსაში, განსაკუთრებულ შეკვეთით, რუსულ და საზღვარ-გარეთელ მატერ ისაგან.

### შ ე ნ ი შ ვ ნ ა

ფასები აღნიშნულია იარლიკზე ლურჯის კარანდაშით და ვაჭრობა არ შეიძლება. მყიდველს ნება ეძლევა იმავე დღეს დააბრუნოს ნაყიდი საქონელი და მიიღოს ფული, თუ სხვა ფირმაში უფრო იაფი აღმოჩნდება საქონელი.

**მაღაზიები ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდე.**

(10—83—4)

კბილის ექიმი

**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, ახალი მდივნისა. (35)

ექიმი

**კ. ი. გძელიშვილი**

იღებს **ყურის, ცხვირის** და **ყელის** ავადმყოფებს დილის 12—1 ს. საღამოთი 5—7 ს. ელისაბედის ქუჩა, № 7. სახლი მეწულოვისა. (25—29)

ქ. ქუთაისში

**ექიმი დ. ვ. ფანცხავა**

იღებს საბებიო, ქალის და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 8—12 საათ. საღამოობით 5—7 საათამდე. ქარავან-სარაის ქ., სახლი ადამიასი (25—კვ—11)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

**ტფილისში**

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა

**მიხეილ აგაჯანოვი:** 11—12 ს. საზარდე, კანისა და სიფილისი.

**ა. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ტალევოსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ა. გ. აველიჩოვი:** 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. პ. გიმონცი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**პ. ა. პეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,

**ა. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—62)



## ყურადღება!!!

მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 1 საათამდე შეუძლიანთ აიღონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.

ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების „როსსია" ს წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში მთავარ ფოსტამტის მეზობლად. ადრესი: Тифлисъ, Троицкая у., д. № 7, по сосѣдству съ главн. почт.-телегр. конторы.

(50—73.—11)

ქუთაისში

ექიმი მაცრიუხოვი.

მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. საეხლდრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ქიშკარიდან. (60—ფოს.—6)

ტფილისის ქალაქის

## გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ დაბეჭდილი საარჩევნო საბოლოო სიები (ქალაქის საბჭოს ხმოსნების ამოსარჩევად 1907—1911 წლისათვის) მესამე საარჩევნო ნაწილისა, რომელიც შესდგება მე-8 9 და 10 საპოლიციო ნაწილებისაგან, აგრეთვე წესები და ინსტრუქციები არჩევნების მოსახდენად და ბლანკები სახმოსნო კანდიდატების ჩასაწერად—მ ურველთ შეუძლიანთ მიიღონ ქალაქის გამგეობის კანცელარიაში 11 ამ მაისიდან დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა. (3—6.—3)

ტფილისი, 15 მაისი

დიადმა საარჩევნო რეფორმამ შესანიშნავი ნაყოფი მოუტანა ავსტრიას. ძველი დახავსებული პოლიტიკური წეს-წყობილება ჰამბურგის იმპერიის ერთის ნაწილისა ირღვევა და ავსტრია თამამის ნაბიჯით დგება განათლების გზაზე.

უკანასკნელი ორმოცი წელიწადი განუწყვეტელი კრიზისი იყო ავსტრიისათვის. ერთმანეთში არეული სხვა და სხვა ერები ეროვნულად ებრძოდნენ ერთმანეთს და მთელი პოლიტიკური ცხოვრება ამ ბრძოლაზე იყო დაწყარებული. სოციალურ-პოლიტიკური მოღვაწეობა, კანონმდებლობა შეჩერებული იყო; ეროვნულ პარტიებად დაყოფილი სახალხო წარმომადგენლობა სრულიად დაუძლურდა და ერთ ნაბიჯსაც ვერ სდგამდა წინ. მთავრობა ხან ერთის ერის პარტიას უჭერდა მხარს, ხან მეორისას და ასეთის პოლიტიკით ამაგრებდა რეაქციას. ვერც ერთმა ბურჟუაზ ულ-ლიბერალურმა პარტიამ ვერ მოახერხა შოვინისტურ პოლიტიკაზე ამაღლება და საერთო სახელმწიფოს ნიადაგზე დგომა. ავსტრია თან და თან უძლურდებოდა, იწვნებოდა და ბევრი დაკვირვებული დარბაისელი პოლიტიკოსმეცნიერი წინასწარმეტყველობდა ავსტრიის სახელმწიფოს სრულს დაშლას.

ავსტრიის დემოკრატიას, ავსტრიის სხვა და სხვა ერთა მშრომელ ხალხებს მეტად ძნელი საგანი გაუჩნდათ. ცხადი იყო, რომ ბურჟუაზია უძლურია გადაწყვიტოს ნაციონალური პრობლემა, შეარიგოს მოქიშპე ერები და შეჰქმნას პირობები საერთო კულტურულ მუშაობისათვის. ცხადი იყო, რომ რაც დრო მიდის, მით უფრო და უფრო მწვავდება ავსტრიის ერთა შორის ურთიერთობა, მით უფრო შორს მირბის სოლიდარობა და შეთანხმებული მოქმედება დემოკრატიულ ნაწილებისა. მთელის ავსტრიის პროლეტარიატი და მთლად მშრომელი ხალხი იჩაგრებოდა, რადგან ეროვნული კინკლაობა და შფოთი ხელს უშლიდნენ ხალხის წინსვლას სრულს ეკონომიურსა და პოლიტიკურს თავისუფლებისაკენ. გერმანელთაც, ჩეხებსაც, პოლონელებსაც, რუსინებსაც ჰყავდათ სოციალისტური პარტია, რომელიც იწვევდა ხალხებს—დაევიწყებინათ ეროვნული ბრძოლა და შესდგომოდნენ საერთო სოციალისტურ მუშაობას, მაგრამ რეალური პირობები ძალაუნებურად ითრევდნენ ბრძოლაში მშრომელ ელემენტებსაც, ბურჟუაზია-კი ხელოვნურად სარგებლობდა ამ გარემოებით და უფრო ამწვავებდა ეროვნულ ბრძოლას, რათა ამით ხელი შეეშალა სხვა და სხვა ერთა პროლეტარიების შეკავშირებისათვის. ავსტრიის სოციალ-დემოკრატია, დაბრმავებული გერმანიის ს.-დემოკრატიის ცენტრალისტურის ტენდენციებით, უძლური იყო თავისი პოზიციები გაემაგრებინა და საკმაო გავლენა მოეპოვა მთელს ქვეყანაში. მაგრამ მალე სურათი გამოიცვალა. ავსტრიელ ერთა ს.-დემოკრატია მწარე გამოცდილებით დარწმუნდა, რომ ეროვნულის ბრძოლის მიზეზები უფრო ღრმაა, ვიდრე მარქსისტების დოგმატიკოსებს ჰგონიათ, რომ ეროვნული საკითხი ბურჟუების მიერ მოგონილი და განზრახ გაჩენილი სადავიდარაბო საკითხი-კი არ არის, არამედ ღრმა კულტურულ-პოლიტიკური პრობლემაა, რომელიც სრულიად დამოუკიდებლად უნდა გადასწყდეს. ავსტრიის ს.-დემოკრატია დარწმუნდა, რომ საჭიროა უეჭველად პრაქტიკული სინტეზი მოხდეს სოციალისტურის პოლიტიკისა და ეროვნულ პრობლემის შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში ავსტრიაში ყოველთვის გაძნელებული იქნება ნამდვილი დემოკრატიული და სოციალისტური მოძრაობა. ავსტრიელ დემოკრატიის იდეოლოგები შეუდგნენ ამ სინტეზის კვლევა ძიებას და მართლაც თან და თან ადგებიან სწორ გზას. უკუაგდეს ცენტრალისტური მოძღვრება, აღიარეს ეროვნების უფლება და იწამეს არა მარტო ტერიტორიალური ავტონომიები,

არამედ ექსტერიტორიალურ ავტონომიის პრაქტიკულად განხორციელების პირობების შესწავლასაც შეუდგნენ.

ამიერიდან ავსტრიის ს.-დემოკრატიის მნიშვნელობა სახელმწიფო რეალურს ცხოვრებაში შესანიშნავად იზრდება. უნაყოფო ეროვნული ბრძოლით დაღლილი ხალხები თამამად სდგებიან ს.-დემოკრატიის დროშების ქვეშ, რადგან ს. პარტია კისრულობს არა-თუ მომავლის დიადის სოციალურის რეფორმის მოხდენას, არამედ დღევანდელ ეროვნულ საკითხის გადაწყვეტასაც. იწყება ენერგიული ბრძოლა საარჩევნო რეფორმისთვის, რეფორმა ხორციელდება და პირველსავე გამარჯვებას ს.-დემოკრატიას აძლევს.

ახლად დასრულებული არჩევნები შესამჩნევად სცვლიან ავსტრიის პოლიტიკურ ცხოვრების პირობებს. შოვინისტური პარტიები—„პანგერმანელნი“, „ძველი-ჩეხები“, პოლონეთის არისტოკრატია, უფრო ნაკლებ შოვინისტურნიც—„ახალგაზრდა ჩეხები“, გერმანელი პროგრესისტები დამარცხდნენ საგრძნობლად; სამაგიეროდ ს.-დემოკრატიამ ჯერ უხილავი რიცხვი დეპუტატებისა გაიყვანა—82. ამიერიდან ავსტრიის სახალხო წარმომადგენლობა წინანდებურად არ იქნება შებორკილი და უფრო ენერგიულ მუშაობას დაიწყებს სახელმწიფოს საზოგადო ინტერესებისათვის... თუ ავსტრიის ს.-დემოკრატიამ და მასთან ერთად ავსტრიის ხალხთა დემოკრატიულმა ელემენტებმა შემდეგშიაც არ გადაუხვიეს არჩეულ გზას, ე. ი. თუ თავის პროგრამაში მტკიცედ აღნიშნავენ ეროვნულ საკითხის უაღრეს მნიშვნელობას და ეცდებიან კიდეც ნამდვილი გარანტიები მისცენ ერებს და შეაძლებინონ ამათ თავის უფლებათა დაცვა,—მაშინ ყოველი ცდა ბურჟუაზიულ შოვინისტებისა ამაოდ დარჩება და ავსტრია გადაიქცევა სოლიდარულ ერების სახელმწიფოდ, სადაც მშრომელ ხალხთა წინსვლას სრულს პოლიტიკურსა და ეკონომიურს განთავისუფლებისაკენ ველარაფერი ვერ დაუშლის.

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**პეტერბურგი.** 12 მაისს მოხდა აგრარულ კომისიის სხდომა, რომელსაც არ დაესწრნენ პოლონელთა კოლო და მემარჯვენენი. კომისიამ გადასწყვიტა გადასინჯოს თავისი წინანდელი დადგენილება იძულებით მიწის ჩამორთმევის შესახებ. უნდა განიხილონ: რა ზომით და რა საზღვრებში უნდა მოხდეს იძულებით მიწის ჩამორთმევა. კომისია ფიქრობს, საქმის ესე დაყენება შეძლებას მისცემს მემარჯვენეებს და პოლონელებს გამოსთქვან თავიანთი აზრი და ინციდენტიც ამით გათავდება. კომისიამ დაადგინა აგრეთვე მოიწვიოს მიწად-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენლები, როცა მიწის ფონდის შესახებ იქნება ლაპარაკი.

სინოდმა სჯა იქონია იმ გარემოების შესახებ, რომ ზოგიერთი დეპუტატი მღვდელი არ დაესწრო 7 მაისის სხდომას, როცა სათათბირომ გაჰკიცხა ხელმწიფის წინააღმდეგ შეთქმულება. სინოდის აზრით ამით მღვდლებმა აშკარად თავი დააღწიეს ხელმწიფის მოკვლის გამზრახველთა გაკიცხვას. სინოდმა დაადგინა, მიენდოს მიტროპოლიტ ანტონის დაიბაროს ზემოხსენებული მღვდლები და პასუხი მოსთხოვოს, რა მიზეზით არ დაესწრნენ 7 მაისის სხდომას. წინადადება მიეცეთ დაუყოვნებლივ გამოვიდნენ იმ პარტიებიდან, რომელთაც ისინი ეკუთვნიან და ეს საჯაროდ გამოაცხადონ. თუ ამას არ იზავენ, მაშინ მათ თავი უნდა გაანებონ მღვდლობას, რომელიც შეუფერებელია რევოლიუციონურ აზრებთან და პარტიის გამანადგურებელ მისწრაფებასთანაო. თუ არც ამას ისურვებენ, მაშინ მათი საქმე უნდა გადასწყვიტოს საეპარქიო მთავრობამ.

სათათბიროს პრეზიდიუმის კრებაზე, რომელსაც ყველა ფრაქციის წარმომადგენელნი დაესწრნენ, გადაწყვიტეს, რომ კანონ-პროექტები, რომელნიც 87 მუხლის ძალით, იქმნება წარმოდგენილი, განხილულ იქნეს ჯერის გარეშე. ასევე უნდა განხილულ იქნას ის კანონ-პროექტები, რომელსაც აგრარული კომისია წარუდგენს აგრარულ საკითხის შესახებ. წვრილმან საქმეების განსახილველად გადაწყვიტეს, მოახდინონ ხოლმე სათათბიროს სხდომა სალამოობით სამშაბათობით და პარასკეობით 7—10 საათზე. უკვე დანიშნულია განსახილველად კანონ-პროექტები: სიკვდილით დასჯის და განსაკუთრებულ წესების გაუქმება, პიროვნების შეუხებლობა, ამნისტია, სინიდისის, კრების და გაფიცვის თავისუფლება, საბიუჯეტო წესების შეცვლა, ადგილობრივ თვითმართველობაში საარჩევნო წეს-რიგის შემოღება, სასკოლო კანონ-პროექტი პოლონეთისთვის, პოლონეთის ავტონომია, კვირა-უქმე დღეებში დასვენება, სამუშაო დღის რაოდენობა, საარჩევნო კანონი. შეკითხვებს სათათბირო ხუთშაბათობით განიხილავს.

## ფინლიანდიის სეიმი.

(სააგენტოს დეპეშებიდან)

12 მაისს გაიხსნა ფინლიანდიის ახალი სეიმი. ჯერ გადახდილ იქნა პარაკლისი. 11 საათისთვის შეიკრიბნენ ტალმანი, ვიცე-ტალმანები, დეპუტატი მამაკაცები და დედაკაცები. მალე მოვიდა გენერალ-გუბერნატორიც, რომელსაც მცირე სიტყვით მიეგება ბორგოსის ეპისკოპოსი. ლოცვის შემდეგ მოხდა ცერემონია სეიმის გახსნისა საიმპერატორო სასახლეში.

გენერალ-გუბერნატორი დადგა მეფის ტახტის საფეხურთან. იმის მარჯვნივ დადგნენ სენატორები, მარცხნივ გენ.-გუბერნატორის ამალა. შემდეგ გამწკრივდნენ ტალმანი, ვიცე-ტალმანები და დეპუტატები. გენერალ-გუბერნატორმა რუსულ ენაზე წაიკითხა შემდეგი სეფე-სიტყვა ხელმწიფისა:

„ფინლიანდიის ხალხის წარმომადგენელნო! ჩემის მანიფესტის თანახმად (1905 წ. 22 ოქტ. და 4 ნოემ.) გამოცემულ იქნა ფინლიანდიის სამთავროსთვის ახალი სასეიმო წესდება და ახალი საარჩევნო კანონი, რომელთა ძალითაც ეხლა იხსნება პირველი მორიგი სხდომა სეიმისა. სალამს გიძღვნით, როგორც ფინლიანდიის ხალხის არჩეულთ. მოველი თქვენგან ნაყოფიერ მუშაობას თქვენის მოვალეობის ასასრულებლად. ვისურვებ, რომ თქვენმა კეთილმა შრომამ გაამტკიცოს ის საფუძვლები, რომელიც სარჩულად დაედო რეფორმას. ახალი კანონების პროექტები, რომელიც ეხება ხალხის ცხოვრების სხვა და სხვა მხარეს, ზოგი ეხლა გადმოგეცემით განსახილველად, ზოგიც მერე, ვიდრე თქვენი სამსახურის ვადა გათავდება. იყოს თქვენზედა კურთხევა ღვთისა! ვაცხადებ სეიმს გახსნილად.“

სენატის სამეურნეო დეპარტამენტის ვიცე-პრეზიდენტმა სეფე სიტყვა წაიკითხა ფინურ და შვედურ ენებზე.

შემდეგ სეიმის ტალმანმა ფინურ ენაზე საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ მოქალაქეთა შორის თანხმობის დასამტკიცებლად საჭიროა ისეთი ზომები, რომელიც მიმართული უნდა იყოს მცხოვრებთა შეუძლებელ კლასების კონებრივ და კულტურულ განვითარებისაკენ. სეიმს ერთ თავის უმთავრეს საგნად სწორედ ეს მიაჩნია. ფინლიანდიის ხალხის ნატვრას ის შეადგენს, რომ სავსებით მიეცეს თავის კულტურულ მოწოდების განხორციელებას და თავის ნაციონალურ არსებობის დაცვას. საუკეთესო თავდები ამისა, ორატორის აზრით, არის ფინლიანდიის შინაური დამოუკიდებულობა. დასასრულ, ორატორმა სთხოვა გენ.-გუბერნატორს, გადასცეს მის იმპერატორობით უდიდებულესობას ფინლიანდიის მთავარს გრძნობანი უქვეშევრდომილეს პატივისცემისა და ერთგულებისა.

როდესაც გენ.-გუბერნატორმა წაიკითხა სია უმაღლეს წინადადებებისა სეიმის მიმართ, დეპუტატებმა ხელმწიფის პატივსაცემად სამჯერ გაიმეორეს „ელიაკეენ“.

ეკკლესიასა და სასახლეში დეპუტატები სრულად იყვნენ, არავინ დაჰკლებია. დაესწრნენ აგრეთვე სათათბიროს წევრნი ისკრიცკი, პეტროვსკი და აფანასიევი.

სეიმის გახსნის წინა დღეს, საღამოთი, მოხდა საჯარო კრება დეპუტატებისა. კრება მოხდა ცეცხლის მქრობელთა სახლის დარბაზში, სადაც გაიმართება საზოგადო სხდომები სეიმისა. მარჯვნივ ადგილები დაიჭირეს შვედომანებმა და მლადოფინებმა, ცენტრში—სტაროფინებმა, მარცხნივ—სოციალისტურმა ჯგუფებმა. დეპუტატი ქალები თავიანთ პარტიებთან სხედან. წაიკითხეს მისაგებებელი დეპეშა, მიღებული რუსის ქალთა კავშირისაგან. მცირე კამათის შემდეგ მიიღეს რედაქცია დეპეშისა, რომელიც უნდა გაეგზავნოს რუსეთის სათათბიროს. დეპეშაში გამოთქმულია მადლობა და აგრეთვე სურვილი სეიმისა, რომ სათათბირომ ნაყოფიერად იმუშაოს პოლიტიკურ თავისუფლების მოპოებისა და ეკონომიურ კეთილ დღეობის განვითარების გზაზე. ილაპარაკეს სტაროფინებმა, შვედომანებმა და მლადოფინებმა. სოციალისტებს და აგრეთვე ქალებს სიტყვები არ წარმოუთქვამთ. სეიმმა განიხილა პასუხი სეფე-სიტყვასა, და შემდეგ სხდომა დასრულდა.

## ახალი ამბავი

✦ **დეპეშებიდან.** უკვე ვწერდით, რომ ტფილისის ქალაქის საბჭომ დაადგინა სთხოვოს ნამესტნიკს, აცნობოს ხელმწიფეს უქვეშევრდომილესი გრძნობანი სიხარულისა განსაცდელისაგან გარდარჩენის გამო. ნამესტნიკს უკვე გაუგზავნია დეპეშა. ტფილისის საბჭოს გარდა, როგორც სააგენტოს დეპეშებიდანა სჩანს, ასეთი უქვეშევრდომილესი გრძნობანი გამოუთქვამთ: ქართველ თავად-აზნაურობას, აქაურ სხვა და სხვა უწყების მოხელეებს, ვაჭართა საზოგადოებას და ჯარს.

✦ **თავდასხმა პოლიციელიბზე.** 13 მაისს, საღამოს 10 საათზედ, ვერაზე, ოლგას ქუჩაზე, შემდეგი ამბავი მოხდა: ვერისაკენ მიმავალ ელექტრონის ვაგონში მსხდარა უბნის ზედამხედველი ვასილ მუსტიაცი, იმის ცოლი მარიამი და მცველი მალი გასან-ოღლი. როდესაც ვაგონი სლეპცოვის ქუჩას მიახლოვებია, რამდენიმე შეიარაღებული კაცი შევარდნილა ვაგონში და მუსტიაცისთვის დაუშენია რევოლვერები. მცველს გასან-ოღლის და მუსტიაცს რევოლვერებითვე უპასუხნიათ. ამტყდარა სროლა. ამ ამბავმა თავზარი დასცა თურმე როგორც ვაგონში მყოფთ, ისე ახლო-მახლო მცხოვრებთ. უცნობები პოლიციელების დაჭრის შემდეგ მიმალულან. მოკლული [illegible] აღმოჩნდა მცველი გასან-ოღლი, დაჭრილი—მუსტიაცი, იმისი ცოლი და მუსტიაცის გვერდით მჯდომი ნამესტნიკის კანცელარიის მოხელე მ. შჩერბინინი, რომელიც ისე მძიმედ დაიჭრა, რომ ათი წამის შემდეგ მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა. დაჭრილები მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. მალე გაჩნდნენ პოლიციელები და ჯარი, ახლომახლო ადგილებისთვის ალყა შემოურტყავთ და შესდგომიან ჩხრეკას. როგორც გადმოგვცეს, რამდენიმე კაცი დაუპატიმრებიათ.

✦ **კავსაძის მომღერალთა გუნდი.** როგორც გავიგეთ, მომღერალთა გუნდი კავსაძის ლოტბარობით მაისის გასულს აპირებს მოგზაურობას ქართლსა და კახეთში კონცერტების გასამართავად. ხორო გამოწყობილი იქნება ქულაჯებსა და გურულ ტანისამოსში და შეასრულებენ ქართლ-კახურ-იმერულს და ევროპიულს სიმღერებს.

✦ **ქართული ლექცია.** კვირას ტფილისის სახალხო უნივერსიტეტში პეტრე სურგულაძემ წაიკითხა ლექცია შემდეგ სათაურით: „დარვინის თეორია“. ლექტორმა ლექციას წაუმძღვარა ისტორია ბუნების მეცნიერების განვითარებისა ძველ საბერძნეთისა და ეგვიპტედან დაწყებული საშუალო საუკუნემდის და მერე გადავიდა საგანზე—ევოლიუციის თეორიაზე და ახსნა ეგი. საერთოდ ლექციამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. ხალხი აუარებელი დაესწრო და ადგილების უქონლობისა გამო ბევრი ზეზე იდგა.

✦ **ოზურგეთიდან გადასახლებულნი.** როგორც გურიიდან გვწერენ, დიმიტრი მგელაძის დაჭრის გამო დატუსაღებულთაგან 26 კაცს ასახლებენ ქუთაისის გუბერნიიდან.

✦ **გაზეთების დაკეტვა.** გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, დაიკეტა ტფილისში ორი სომხური გაზეთი—„ფაილაკი“ და „ჯაინი“. დაიკეტა აგრეთვე სამხედრო წესების მოხსნამდე სტამბა „გერმესი“, სადაც იბეჭდებოდა „ფაილაკი“. შრიფტი წაიღეს და ამას გარდა რედაქტორს ებრძანა, ორი დღის განმავლობაში საგენ.-გუბერნატოროდან გავიდეს.

✦ **პარაკლისები.** ტფილისის სამღვდელოებას წინადადება მიეცა გადაიხადოს პარაკლისები ხელმწიფე-იმპერატორის კეთილად გადარჩენისათვის.

✦ **ასოთ ამწყობების შუამდგომლო-**

# ფელეტონი

## ინგლისის პარლამენტის ცხოვრებიდან

(დიონეოსი)

II*)

**ბიუჯეტი.**

(დასასრული მეორე თავისა*)

სამაგიეროდ, პარლამენტი სრული ბატონია სახელმწიფო ხარჯის მეორე ნაწილისა—supply services (ეს ნაწილი 1906 წლის ბიუჯეტში უდრის 1100 მილლიონ მანეთს). ეს ხარჯი სამ უმთავრეს ნაწილად გაიყოფება: ჯარზე—280 მილ. მანეთი, სამხედრო ზღვაოსნობაზე—330 მილ. მან. და სამოქალაქო მართვა-გამგეობაზე—280 მილ. მანეთი. ხარჯთ-აღრიცხვას ადგენენ დიდის ყურადღებით, ვიდრე შოტლანდიის, უელსის, ინგლისის და ირლანდიის წარმომადგენლებს, ანუ, როგორც ინგლისელები ამბობენ, სენდის[1]), ტეფფის, ჯონ ბულის და პედდის მკაცრ და სასტიკ განსჯას წარედგინება. სახელმწიფო ანგარიში ძველებურ ჩვეულებისამებრ გამოქვეყნებულ უნდა იქმნას 31 მარტს. გაიარა წლის დაწყებიდგან სამმა თვემ და ფინანსთა სამინისტროსათვის გამორკვეული უნდა იყოს, როგორ მიდის საქმე, ანუ ინგლისურ ანდაზისამებრ—how the cat jumps. სამინისტრო ემზადება საკონსტიტუციო ქვეყნის ცხოვრების უდიდეს წამისათვის: პალატაში ბიუჯეტის განხილვას, Budget night-ე. გარეშე ხალხმა იცის მხოლოდ ზოგადი ციფრები, გამოურკვეველი ჯამები. გაზეთები ცდილობენ მიხვედრას, მოელის სახელმწიფოს დეფიციტი თუ არა და, თუ მოელის, რითი და როგორ აპირებს მის დაფარვას სამინისტრო. ზოგი ამბობს, ალბად ახალ გადასახადს შემოიღებენო. პირიქით, როდესაც იმედი აქვთ შემოსავალმა უნდა გადააჭარბოს გასავალსაო, ცდილობენ იმის გამოცნობას, როგორ მოიხმარს გადამეტებულ შემოსავალს სამინისტროვო. შეძლებულს ნაწილს ძალიან უნდა, რომ შემოსავალზე გადასახადი შემცირდეს. ვისაც თავისი ფული სახელმწიფო სესხიან ქაღალდებში აქვს დაბანდული, წინადადებას იძლევა, გადამეტებული შემოსავალი სახელმწიფო ვალის გადახდას მოანდომეთო, რადგან როდესაც სახელმწიფო ვალს ისტუმრებს და ამისათვის თავის სესხის ქაღალდებს ყიდულობს, ამ ქაღალდებს ფასი ემატება. მუშა ხალხს თავისი სურვილი აქვს,—მათ სურთ, რომ გადამეტებული შემოსავალი მოხუცებულ მუშათა საპენსიო ფონდად გადაიდოს. რაც შეეხება დანარჩენ ხალხს, ეს უკანასკნელი იმის ოცნებაში, რომ შაქარსა, ყავასა და ჩაიზე გადასახადი შემცირდეს, ე. ი. გლადსტონის თქმისამებრ, ეს ხალხი „უბადო“ საუზმეს ოცნებობს. ხან და ხან „საბიუჯეტო ღამის“[2]) წინ რომელიმე გაბედული გაზეთი სტამბავს ბიუჯეტის შესახებ დაწვრილებითი ცნობებს და თანაც დასძენს, ეს ცნობები „სარწმუნო წყაროებიდგან“ გვაქვს გაგებულიო; მაგრამ ასეთი ცნობები მიხვედრის ცდის შედეგია ხოლმე და სხვა არაფერი. ფინანსთა მინისტრს საიდუმლოთ აქვს დაცული ბიუჯეტი „საბიუჯეტო ღამემდისინ“. ბოლოს, როდესაც მინისტრს შეაქვს ბიუჯეტი,—პარლამენტში შესვლა ძნელზე უძნელესია: გარეშე მაყურებელთათვის ადგილები გაჭედილია ხალხით.

ბიუჯეტის გამოსაკვლევად პარლამენტი ჯერ ირჩევს კომიტეტს, რომელმაც უნდა განიხილოს სამინისტროს წინადადებანი ფულის შოვნის შესახებ ახალის გადასახადების თუ სესხის საშუალებით, იმ ფულისა, რომელიც საჭიროა სახელმწიფოს მართვისა და მის დაცვისათვის (committee of Ways and means), შემდეგ ირჩევს მეორე კომიტეტს, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, რომელ სამინისტროს რამდენი ფული უნდა დაენიშნოს (Committee of supply). ფინანსთა მინისტრის წინადადებანი მოკლე დადგენილებანია (რეზოლიუციები), რომელთაც პარლამენტი ან შეუსწორებლივ იღებს, ან უარყოფს, ან თითონვე ასწორებს. მეორე კომიტეტისაგან დანიშნულ ფულის მომატების თხოვნა შეუძლია განაცხადოს მხოლოდ ამა თუ იმ მინისტრმა, ხოლო იმავ ფულის შემცირება შეუძლია მოითხოვოს ყოველმა კომმონერმა. ამ უფლებით ძლიერ სარგებლობს ხოლმე ოპპოზიცია. კომმონერები უსაყვედურებენ ყოველ უკანონობას ან უსამართლობას, რომელიც კი ჩაუდენია მინისტრებს ან მათ მოხელეებს და ითხოვენ ხოლმე პასუხის გებას. თუ სამინისტროს პასუხი არ აკმაყოფილებს მათ, მაშინვე წინადადება შეაქვთ ამა თუ იმ სამინისტროსათვის დანიშნული ფული შემცირებულ იქმნასო. ჩვეულებრივ ოპპოზიციას, როდესაც დანიშნულ ფულის შემცირების წინადადება შეაქვს, არ აქვს იმედი ამ წინადადების გატარებისა. ჩვეულებრივ სამინისტროსაკენ არის უმეტესობა. ასეთს წინადადებას ის აზრი აქვს, რომ ამა თუ იმ უსამართლობას ყურადღება მიექცეს. ხანდახან კი, როდესაც სამინისტრო მოძველებულია და აღარ შეეფერება ქვეყნის შეხედულებას, ფულის შემცირების შესახებ ოპპოზიციის წინადადებას, მოხდება ხოლმე, იწონებს პარლამენტი და ეს იწვევს სამინისტროს გადადგომას. ასე იყო, მაგალითად, 1895 წელს, როდესაც პარლამენტმა მოიწონა წინადადება იმის შესახებ, რომ სამხედრო სამინისტროსათვის დანიშნულ ფულს ათასი მანეთი მოკლებოდა. მაშინ პირველი მინისტრი იყო ეხლანდელი პირველი მინისტრი. ბიუჯეტის განხილვის დროს ყოველ მხრივ ირკვევა და იკიცხება მთავრობის მოღვაწეობა. მაგალითად, პარლამენტი იხილავს შინაგან საქმეთა მინისტრის ხარჯთ-აღრიცხვას. დგება ირლანდიელების მეთაური და ამბობს, რომ ირლანდიას ინგლისთან შედარებით მომეტებული გადასახადი აძევს. ეს განცხადება საბაბია მხოლოდ იმისა, რომ წამოყენებულ იქმნას ირლანდიის შესახებ საკითხი. ირლანდიელები განმარტავენ ძნელსა და მეტად შევიწროვებულ მდგომარეობას ირლანდიისას და თავიანთ სიტყვებს აბოლოვებენ იმით, რომ თუ შეუძლია რასმე უშველოს ირლანდიას, მხოლოდ ჰომრულმაო (პოლიტიკური თვითმართველობა, ავტონომია). წამოყენებულია, ვსთქვათ, დასამტკიცებლად ახალშენთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა. დგება ოპპოზიციის ერთ-ერთი წევრი და იწყებს ლაპარაკს ჩინელ მუშათა მდგომარეობის შესახებ ბრიტანიის სამფლობელოში მალაის ნახევარ კუნძულზე და ამრიგად ამ ნახევარ კუნძულის შესახებ საკითხი აღიძრება განსახილველად. ორის წლის წინად ახალშენთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს ხელახლა აღიძრა ტრანსვაალის შესახებ საკითხი. ეხლა ეს საკითხი გადაწყვეტილია.[3]) გენერალ ბოტას, რომელიც ამას წინად ეომებოდა ინგლისელებს, ეხლა ალტაცებით ხვდებიან ლონდონში, როგორც სანახევროდ დამოუკიდებელ ახალშენის, ანუ, კანადიის პირველ მინისტრის ლორიეს სიტყვით, „ბრიტანიის ფედერატიულ იმპერიის ერთ-ერთ შტატის პირველ მინისტრს, იგივე ბოტა თვითვე ამბობს, რომ ინგლისის სულმაღლობას შედეგად მოჰყვება ტრანსვაალის კანონიერი მოქცევა. კონსერვატიული Times-ი ილოცავს ლიბერალურს სამინისტროს, დიდი სახელმწიფური სიბრძნე გამოიჩინე მით, რომ ტრანსვაალს ავტონომია მიანიჭესო.

ფულის განაწილებისა და ხარჯ-აღრიცხვის ცალკე ნაწილების განხილვის დროს კომპონერები სასტიკად ჰკიცხავენ სამინისტროს ყოველსავე შეცდომას. პალატაში არის რამოდენიმე დეპუ-

*) იხ. „ისარი“ № 100.

1) სენდი, ტეფფი, ჯონ-ბული და პედი თითქო ცალკე პირის სახელია და ამავე დროს იხმარება როგორც სახელწოდება, შოტლანდიელი, უელსელი, ინგლისელი და ირლანდიელი.

2) ის სხდომაა პალატისა, რომელშიაც გამოცხადდება ბიუჯეტი.

3) მკითხველებმა იციან, რომ 1902 წ. ინგლისმა დაიპყრო სამხრეთ აფრიკაში ბურების ქვეყანა ტრანსვაალი. დღეს ამ დაპყრობილ ქვეყანას ინგლისმა მიანიჭა პოლიტიკური თვითმართველობა (ავტონომია). ტრანსვაალს აქვს თავისი პარლამენტი, ჰყავს თავისი სამინისტრო და პირველი მინისტრი ტრანსვაალისა ცნობილი ბოტაა, რომელმაც არა ერთხელ დაამარცხა ინგლისელი ჯარი. ამ დღეებში ბოტა სხვა ახალშენთა პირველ მინისტრებთან ერთად ლონდონშია, სადაც ახალშენთა პირველ მინისტრებს სხდომები აქვთ გამართული, რომელზედაც სხვა და სხვა ინგლისსა და მის ახალშენთა საურთიერთო დამოკიდებულება უნდა გამოირკვეს სხვა და სხვა საკითხის შესახებ. ბოტას, გუშინდელ მტერს, ინგლისელები მეგობრულად ხვდებიან. (მთარგმნელი).

№ 103

ბა. გერმესის სტამბის დაკეტვისა გამო შესწყდა დროებით გაზეთ „მშაკის“ გამოცემა. სტამბის ასოთ ამწყობებმა შუამდგომლობა აღძრეს გენ.—გუბერნატორის წინაშე, ნება დართოს და სტამბის მუშაობა განახლდეს.

✦ **პარტიის განცხადება**. ამას წინად ტფილისელ ღვინის ვაჭრებს ფარსადანოვსა და სულხანოვს პროფესიონალურ კავშირის მესამე რაიონმა ბოიკოტი გამოუცხადა მუშების დათხოვნისათვის. ამ საქმის გამო 12 მაისს ტფილისში გავრცელდა ცალკე ფურცლებზე რუსულად დაბეჭდილი განცხადება, რომელსაც ქვეშ აწერია „დროებითი სამხედრო საბჭო სომეხთა სარევოლიუციო პარტიის „დაშნაკცუთიუნისა“. განცხადების თავში ნათქვამია, რომ ცრუ სოციალისტები მუშების სახელით უსამართლო ბოიკოტებს აცხადებენ და, საზოგადოდ, „ათას სისაძაგლეს“ სჩადიან, და ასევე მოიქცნენ ამ ზემოხსენებულ ვაჭრების ბოიკოტის საქმეშიო. შემდეგ მოთხრობილია, „დაშნაკციუთუნის“ პარტია როგორ ჩაერია ამ საქმეში და დათხოვნილ მუშების ნაცვლად როგორ დააყენა მან თავისი „ზინვორები“. დასასრულ განცხადების ავტორნი ურჩევენ მოქალაქეებს, ყურადღება არ მიაქციონ ამ ბოიკოტს, რადგან იგი უსამართლოაო. განცხადება მეტად უხეირო ენით არის დაწერილი. საინტერესოა, გაიგოს კაცმა, ეს განცხადება მართალა „დაშნაკციუთუნის“ პარტიის გამოცემულია თუ სხვა ვისმესი?

✦ **პროფესიონალური კავშირი**. 13 მაისს ტფ. საბჭოს დარბაზში გენ.-გუბერნატორის ნებართვით მოხდა კრება ტფ. დურგალთა პროფესიონალურ კავშირისა. კრებას დაესწრო 80 კაცი. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ვასილ ზახარიაშვილი, მდივნებად სამი კაცი—ქართველი, რუსი და სომეხი. კრებამ გაიცნო კავშირის დამტკიცებული წესდება. საწევრო გადასახადია 1 მანეთი წლიურად. კრებამ გამგეობის წევრებად აირჩია 12 კაცი: ზაქარიაშვილი, მჭედლიშვილი, გონენაშვილი, არჯანოვსკი, შიხიანცი, ციტოხცევი, ზოლოტინი, ოძელაშვილი, შალაიაშვილი, გაჯუაშვილი, ძნელაძე და ჩუტლაშვილი. კრებამ აირჩია აგრეთვე ს არევიზიო კომისიის წევრები.

✦ **ბაქოს მასწავლებელთა დასჯა**. ამას წინად პეტერბურგიდან მიღებულ განკარგულებით, დაიხურა მოწაფეების ჟურნალი „შკოლა ი ჟიზნ“-ი, რომელიც გამოდიოდა ბაქოს გიმნაზიაში მასწავლებლების ი. მ. გენპერისა და პ. კ. იოსელიანის რედაქტორობით. ორივე რედაქტორი და გიმნაზიის დირექტორი სამსახურიდან გადააყენეს. გენპერსა და იოსელიანს ბრალს სდებენ, რომ იმათის ნებართვით მოწაფეების ჟურნალში დაიბეჭდა მთავრობის საწინააღმდეგო წერილი. დირექტორს კი ჰბრალდება ამ საქმის გამო უყურადღებობა. მასწავლებელთა გადაყენებამ, რომელთა შორის გენპერი უკვე 23 წელიწადია რაც მსახურობს, ძლიერ ააშფოთა მოწაფენი და ადგილობრივი საზოგადოება. მშობელთა წრემ დეპუტაცია აირჩია, რათა ნამესტნიკს სთხოვონ პედაგოგები თავის ადგილზე დასტოვოს.

✦ **შავი ქვის მადნის აღმოჩენა**. როგორც გაზ. „კავკაზი“ იუწყება, სენაკის მაზრის სოფ. ნახუნოუში (ხონის ახლო) თავ. ფალავების და გლეხების მამულში აღმოუჩენიათ შავი ქვის მადანი. მუშაობას უკვე შესდგომიან. ეს ქვა ჭიათურის შავ ქვას სჯობია თურმე.

✦ **კრება არ შესდგა**. გუშინ, 14 მაისისთვის ტფ. ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნული იყო კრება ხმოსანთა მესამე საარჩევნო უბნის ამომრჩევლებისა ხმოსანთა კანდიდატების დასასახელებლად და სიის შესადგენად. რადგან ექვსი შვიდი კაცის მეტი არ გამოცხადდა, კრება გადიდო 20 მაისისათვის.

**ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი** ვიატკის გუბერნიაში სამის წლით იგზავნებიან ლეჩხუმელი ჯამჭალიძე და რაჭველი აბესალომ იაშვილი, რომელთაც აბრალებენ მუქარის წერილების მიგზავნას და ფულის მოთხოვნას. ტფ. საგ.-გუბერნატოროდან ეტაპით იგზავნებიან გიორგი ხაჰაპურიძე, ლექსო კასრაძე და არამი-ასლან-ოღლი. 25 მანეთით დააჯარიმეს მედუქნეები, სალდათების შეშვებისთვის, გიორგი ძამაია და ათაბეგოვი.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ ანგარიში ყაზიბეგის ქალთა სკოლის სასარგებლოდ 28 აპრილს გამართულ სეირნობისა. „შემოვიდა: შემოსასვლელი ბილეთები 249 მან., 95 კ., ალდეგრის და სიუხვის ყანწიდან--385 მ. 20 კ., ლოტო, კონფეტი, ბაირაღები და ყვავილები—64 მ. 71 კ., ფოტოგრაფია, პანარამა, ტიკინი და სხვა—62 მან. 82 კ., ბუფეტი—52 მან. 38 კ., ფულად შემოწირული—8 მან. სულ 823 მან. 6 კ. ხარჯი: ბაღის ქირა—200 მ., ბაღის მორთულობა და მუსიკა—55 მან., სკამები, ჭურჭელი, ბუფეტი და მოსამსახურე—57 მ. 68 კ., აფიშები, განცხადება, გაკვრა და დატარება—27 მ. 50 კ., ნივთების სყიდვა, წვრილმანი ხარჯი და პოლიციელებს—23 მან. 66 კ. სულ ხარჯი--363 მ. 84 კ. დარჩა—459 მ. 22 კაპ.

ყაზიბეგის ქალთა სკოლის მონდობილობით უღრმეს მადლობას უცხადებს მმართველი სეირნობისა ყველა იმ პირთ, რომელთაც ფულით ან ნივთებით დახმარება გაუწიეს ზემოხსენებულ სკოლას, რომლის გვარები შეუძლებელია დაიბეჭდოს უადგილობისა გამო. მადლობას უცხადებს აგრეთვე ქართულ გაზეთების რედაქციებს „ისარ“ სა და „დასვარს“ მუქთად დაბეჭდვისათვის, და „ზაკავკაზიე“ ს და „ტიფლისის ლისტოკის“ რედაქციებს დაკლებულ ფასად დაბეჭდვისათვის,—აგრეთვე ყველას, ვინც კი ასე თუ ისე შეეწყობა აღმოუჩინა ამ კეთილ საქმეს“.

✦ სიღნაღის მაზრის კაკაბეთის სოფლის საზოგადოებას თავის თხოვნის თანახმად, სასოფლო სამკურნლო თანხიდან სხვა და სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად მიეცა 1500 მანეთი.

✦ ტფილისის მაზრის სოფელ დიდ ლილოს გლეხებს მიეცათ სესხად სასოფლო სამკურნლო თანხიდგან 1000 მანეთი წყლის მილების გასაყვანად.

✦ ხმოსანთა პირველ საარჩევნო ნაწილში „დაშნაკცუთიუნის“ პარტიას უკვე შეუდგენია სია ხმოსანთა კანდიდატებისა.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ თავადი მელიქიშვილის თავმჯდომარეობით დაწესებულმა კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა გამოკვლევა იმისა, არის თუ არა ქუთაისის მაზრაში შიმშილი, დაამთავრა თავისი მოხსენება და კიდევაც წარუდგინა გუბერნატორს. კომისიის აზრით, ქუთაისის მაზრაში შიმშილი არ არის და ხალხს თავისი საშუალებით, მთავრობის დაუხმარებლად, შეუძლიან მიაღწიოს მოსავალს.

ვსარგებლობ შემთხვევით კვლავ აღვნიშნო ის გარემოება, რომ უმეტესი ნაწილი მიწებისა დიდის გვალვების გამო დღესაც არ არის დათესილი. ადგილობრივი პირობების მცოდნეთა სიტყვით, ჭალასა და დაცემულ ადგილებში მაისის დამლევამდე შეიძლება სიმინდის თესვა, თუმცა ასე გვიან დათესილი სიმინდი, თუ ადრე აცივდა, კარგ მოსავალს ვერ მოიცემა. რაც შეეხება მთა-გორა ადგილებს, 2—3 დღეშიაც რომ მოვიდეს წვიმა და სიმინდის თესვა შესაძლებელი შეიქნეს, მოსავალის იმედი აღარ არის. გამუდმებულმა გვალვამ და აღმოსავლეთის ძლიერმა ქარმა, ვენახსაც და ხილეულობას დიდი ზიანი მიაყენა. ეხლანდელი მდგომარეობა ხალხისა გაჭირვებულია, მაგრამ იმაზე მეტი უბედურება მომავალში მოელის.

✦ წიგნის მაღაზია „კოლხიდა“ გაიხსნა. აქამდის წიგნებით გავსილი თაროები დაცარიელებულია. პოლიციას ტომრებით წაუღიათ 62 ფუთი წიგნი და სამაგიეროდ ბარათი დაუტოვებიათ კვიცარიძისთვის, რომ ამდენი და ამდენი წიგნი მივიღეთო. როგორც ამბობენ, ამ დღეებში სხვა წიგნის მაღაზია გაიხსნებაო.

✦ სოხუმის ოლქის უფროსი თ-დი ლევან ჯანდიერი, როგორც ამბობენ, სამსახურს თავს ანებებს.

✦ 20 მაისს ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა კრება, რომელიც განიხილავს შემდეგ საგნებს: 1. ახალ წევრების არჩევა. 2. კრების თავმჯდომარის და მდივნის არჩევა და 3. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა. წესდებით ახლად დაარსებულ საზოგადოების მიზანს შეადგენს მატერიალური დახმარება უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოებას ყველა შეუწყობს ხელს, მით უმეტესად, რომ უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლენი დასავლეთ საქართველოდან დიდ გაჭირვებას განიცდიან უსახსრობისა გამო.

✦ 30 მაისს ქუთაისში სამოსამართლო პალატის სესია გაარჩევს რაჭაში შეიარაღებულ აჯანყების საქმეს. ბრალს სდებენ: დანიელ რაზმაძეს, პარკუსაძეს, ჯოხაძეს, სხირტლაძეს, ბაკურაძეს, ბერიშვილს, ბაკურაძეს, თაგვაძეს, გობაძეს და კერვალიძეს. საბრალმდებლო ოქმით ამათ ბრალდებათ დაბა ონში მთავრობის დაწესებულებათა ხელში ჩაგდება და რევოლიუციონურ თვითმართველობის დაარსება.

## პრესსა

ორიოდე დღის წინად „ლახვრის“ პუბლიცისტებმა ჩვენს გაზეთთან კამათის დროს სთქვეს: სახელმწიფო მმართველობის ფორმა ჩვენთვის ტაქტიკური კითხვაა, მას ხან ასე გადავწყვეტთ, ხან ისეო. ასეთი უპრინციპობის გაპრინციპება ზნეობრივი და გონებრივი დახავსების ნიშანია, თუ იგი შეგნებულად ჰხდება და არა შეუგნებლად. ჩვენ ხშირად მიგვიტანია ეჭვი ჩვენებურ სოციალდემოკრატების შეგნებაზე, მაგრამ ეს ეჭვი ყოველთვის ეჭვად რჩებოდა. სოციალდემოკრატები ამ ეჭვს ვერ გვიფანტავდნენ, მაგრამ არც თუ იმის სრული სამართლიანობის დამამტკიცებელი საბუთები გვქონდა ხელთ. ეხლა სოციალდემოკრატიული გაზეთი „ლახვარი“ თითონ იძლევა ისეთს შეურყეველ საბუთებს, რომ ჩვენის მხრივ აღარაფერი განმარტებაც კი საჭირო აღარ არის.

„ლახვარი“ გვაუწყებს, ამ დღეებში ტფილ. სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციის სოფლის კომისიის კრება მოხდაო. ამ კრებას ყოვლის უწინარეს მ ჯელობა ჰქონია სოციალდემოკრატიულ და დემოკრატიულ ორგანიზაციებზე. კრებას ასეთი გადაწყვეტილება მიუღია:

„კრება, იღებს რა მხედველობაში, რომ დემოკრატიულ ორგანიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხების რევოლიუციონურ აღზრდაში, ავალებს სოფელში მომუშავე ამხანაგებს, რომ იქ, სადაც არსებობს დემოკრატიული და სოც.-დემ. ორგანიზაციები, გაამაგრონ და გააფართოვონ ისინი, და იქ, სადაც არ არსებობს, ან დაშლილია, მოაწყონ ს.-დემ. ჯგუფები და მათი დახმარებით შემდეგ მოაწყონ სოფლებში როგორც სოც.-დემოკრატიული, ისე დემოკრატიული ორგანიზაციები. ამასთანავე ყველა ამხანაგებს ევალება მხურვალე მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიულ ორგანიზაციებში, რომ ამით გავლენა მოახდინონ გლეხკაცობაზე“.

როგორც ვიცით, მთელი ქვეყნის სოციალ-დემოკრატია კლასსიურ ნიადაგზე სდგას. კლასსთა ბრძოლა სოციალ-დემოკრატიის მთავარი რეგულიატიური პრინციპია. ამ პრინციპის მიხედვით იგი სასტიკად და პრინციპიალურად განასხვავებს ერთი-ერთმანეთისაგან ბურჟუაზიულს და და სოციალისტურს დემოკრატიას. სოციალ-დემოკრატიას თავის მოქმედების სარბიელად მიაჩნია სოციალისტური დემოკრატია და არა ბურჟუაზიული. ამ უკანასკნელს იგი ყველგან და ყოველთვის ებრძვის თეორიულად და პრაქტიკულად მხოლოდ იშვიათს შემთხვევებში უკავშირდება მას მსხვილ ბურჟუაზიასთან საბრძოლველად. ასე სწერია სოციალ-დემოკრატიის „მეცნიერულს“ სახარებაში და ჩვენი სოციალ-დემოკრატებიც ხშირად იმეორებენ ამ აზრებს. მაგრამ სხვისა აზრების თუთიყუშივით გამეორება სხვა არის და მათი შეგნება კიდევ სხვა.

ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს შესძლებიათ სოციალ-დემოკრატიულ აზრების მხოლოდ გაზეპირება და არა მათი შესისხლხორცება და სამოქმედოდ გამოყენება. როგორც სჩანს, სოციალ დემოკრატიულ პრინციპებით ხელმძღვანელობა თუ არა ხელმძღვანელობა ჩვენებურ სოციალ - დემოკრატებისათვის ისეთივე „ტაქტიკური“ კითხვა ყოფილა, როგორც სახელმწიფო მმართველობის ფორმა. ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს ტაქტიკურის მოსაზრებით გადაუწყვეტიათ, იქონიონ სოფლებში ორგვარი ორგანიზაცია დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული, მხურვალედ იმოღვაწეონ დემოკრატიულს ორგანიზაციებში, ს.-დემოკრატიულ ორგანიზაციების დახმარებით შეჰქმნან დემოკრატიული ორგანიზაციები და სხვა.

არა გვგონია, ამ უკუღმართობას კიდევ გამორკვევა ესაჭიროებოდეს. ეს უკუღმართობა, რა თქმა უნდა, ის არ არის, რომ მშრომელი ხალხის ყველა ელემენტები ორგანიზაციონურად ერთს მთელს წარმოადგენდნენ. პირიქით, ეს უკუღმართობა კი არა—ერთად ერთი ჭეშმარიტი პოლიტიკაა, მაგრამ ამ ჭეშმარიტს პოლიტიკას სრულიად არ შეეფერება სოციალ-დემოკრატების დოქტრინა. ჩვენებური სოციალ-დემოკრატები პრაქტიკულად იძულებული გამხდარან სწორედ მშრომელი ხალხის ის პოლიტიკა აწარმოვონ, რომელსაც ჩვენ ყოველთვის მივდევდით, მაგრამ ჩვენთვის ეს პოლიტიკა პირდაპირ გამომდინარეობს ჩვენი მთავარი შეხედულებიდან სოციალისტურს ცხოვრებაზე, სოციალ-დემოკრატებისთვის კი ეს პოლიტიკა თავის საკუთარ მოძღვრების ყირამალა დაყენებაა.

თუ სოციალდემოკრატებმა დღეს დემოკრატიულ ორგანიზაციების შექმნა გაიხადეს მიზნად, რა დაუშლის მათ, ხვალ აგრარიების ორგანიზაციების დაარსებას მიჰყონ ხელი, ზეგ მსხვილი კაპიტალისტებისას და სხვა. თუ არ ქრთამი შესაძლებელია სოციალდემოკრატებისთვის თავისი დემოკრატიული და არა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია გაიჩინონ, რატომ შესაძლებელი არ უნდა იყოს გაიჩინონ აგრეთვე **თავისი კაპიტალისტური ორგანიზაცია**. იქნება ასეთი ორგანიზაცია უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდეს—ვინ იცის.

სოციალდემოკრატების უპრინციპობამ ჯერ ცროვნული გრძნობის ფეხით გათელვა გაიხადა თავის განდიდების ხიდად, ეხლა ასეთსავე ხიდად ჰხდის კლასსობრივ სხვა და სხვაობას. პირველ არჩევნების კომპანიის დროს სოციალდემოკრატების პუბლიცისტები სწერდნენ, ხალხის ყველა ელემენტების საუკეთესო დამცველი ჩვენა ვართო. ეხლა ამ აზრის განხორციელება სოციალდემოკრატებს ორგანიზაციონურად უპირებიათ. გზა დაულოცოთ. რაც უფრო ნათლად გამოამჟღავნებენ თავის უპრინციპობას, მით ადრე მოელება ბოლო მათს გამათახსირებელს გავლენას.

## რუსეთი

**შეთქმულება ხელმწიფის წინააღმდეგ**. გაზ. „სვეტ“-ი შემდეგი სიტყვებით მოგვითხრობს, თუ როგორ იყო მოწყობილი შეთქმულობა, რომლის შესახებ მოკლე ცნობები უკვე გადმოგვცა ტელეგრაფმა. შეთქმულობაში ოფიციალურ წრეებში ცნობილი კაცები ერივნენო, ამბობს გაზეთი; შეთქმულთა მეთაურად იყო ერთი არისტოკრატიული სასწავლებლის ცნობილი მასწავლებელი. უკანასკნელი სხდომა შეთქმულებისა ამ მასწავლებლის სადგურში იყო გამართული, სახაზინო სახლში. თვით მეთაურმა მასწავლებელმა უარჰყო თავისი მონაწილეობა ამ საქმეში, ხოლო როცა ერთ დაჭერილ შეთქმულთაგანის ჩვენების ჩამორთმევის დროს აჩვენეს იგი, დაჭერილმა აღიარა, პირველი მეთაური ეს იყო.

ამ საქმეში მონაწილეთ შემდეგი გეგმა ჰქონდათ გამორკვეული. ერთ ნაწილს შეთქმულებისას სასახლის ბაღში ხმაურობა უნდა აეტეხნათ, რათა ამგვარად სასახლის დამცველთა ყურადღება მიეზიდნათ; დანარჩენები ამ დროს სასახლეში შეცვივდებოდენ თავისი განზრახვის ასასრულებლად. შეთქმულთა კრებები ქალაქის სხვა და სხვა ადგილას იმართებოდა და სასტიკი საიდუმლოებით იყო მოცული; ხოლო ბოლოს და ბოლოს ერთმა შეთქმულთაგანმა თავისი ამხანაგები გასცაო.

ამავე შეთქმულობის შესახებ სათათბიროში მსჯელობის დროს ყუბანის ოლქის დეპუტატმა სოციალისტ რევოლიუციონერმა შირსკიმ გამოაცხადა თავისი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, რომ, თუ ამ გვარი შეთქმულობა მართალა არსებობდა და არა პროვოკაციის მიზნით არის მოგონილი, პარტიას იმაში არავითარი მონაწილეობა არა აქვსო.

საზოგადოდ შეთქმულებათა შესახებ შირსკიმ მოიყვანა საყურადღებო სიტყვები ნაპოლეონ პირველის დროის პოლიციის უფროსისა; იმან სთქვა: ყოველნაირ შემთხვევისათვის პოლიციას მუდამჟამს მზად უნდა ჰქონდეს პორტფელში ორიოდე შეთქმულობაო.

✦ **თხოვნა სტოლიპინის მიმართ**. სათათბიროს თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით სტოლიპინს, გასცეს განკარგულება, რათა გაანთავისუფლონ 5 მაისს ოზოლის სადგომში დაჭერილი სათათბიროს ჟურნალისტები. ალხაზიშვილი, იორდანსკი, გოლდბახი და გოლობოროდკო.

✦ **განხეთქილება ნამდვილ რუსთა კავშირში**. ამ ბოლო დროს რუსთა კავშირის წარმომადგენელთა კრებაზე სხვათა შორის დამსწრე ბერმა ილიოდორმა ცხარე იერიში მიიტანა მთავრობასა და მიტროპოლიტ ანტონიზე. კრებამ შენიშვნა მისცა ილიოდორს, ასე ცხარ-ცხარედ ლაპარაკი არ შეიძლებაო. ილიოდორს ბრაზი მოერია, ლანძღვა დაიწყო და საჯაროდ დასწყევლა კავშირის ბელადები—დუბროვინი, გრინგმუტი და პურიშკევიჩი. ამ ამბავმა ერთობ ააშფოთა დამსწრენი; ისინი შიშმა შეიპყრო და დაიწყეს ჩურჩული ერთმანეთში: „ილიოდორმა ბევრი ჩვენი საიდუმლო იცის და იმისი გახელება ხეირს არ დაგვაყრისო.

ტატი, რომელთაც დაწვრილებით აქვთ შესწავლილი სამი უშველებელი წიგნი, 2000 გვერდიანი თითო, რომელიც სხდომათა დარბაზში დევს მსურველთათვის გასაცნობად. ეს სამი წიგნი სავსეა ციფირებით, რომელნიც აჩვენებენ, რაზე უნდა დაიხარჯოს ხარჯთ აღრიცხვაში დანიშნული ფული. აი ამ ციფირებთა ზღვაში პოულობენ ოპპოზიციის წევრები იმ მასალას, რომელსაც სარჩულად უდებენ აღძრულ კითხვებს. ზოგჯერ მათი შეკითხვანი იმ ჯამაგირსაც არღვევენ, რომლითაც შეჰქედილია მეფის შემოსავალი. ამ რვა წლის წინად „ლეიბიმ“ (ლაბუშერი) ამოიკითხა ანგარიშებში, რომ ყოველ წელს 18 თუმანი იხარჯება „სამეფო თაგვების მხოცველებზე“,—10 თუმანი ბუკინგემის სასახლეში თაგვების გაწყვეტაზე და 8 თუმანი—ვინდზორის სასახლეში. ამის შესახებ „ლეიბიმ“-ი შეეკითხა სამინისტროს საზოგად სასახლეების მოხმარების შესახებ.

ბიუჯეტის განხილვის დროს მინისტრებს საბუთებით სავსე ყუთები უდგათ წინ; ისინი მზად არიან მკაფიო, ნამდვილი და დაწვრილებითი პასუხი გასცენ ყოველ შეკითხვაზე. მინისტრები არსებითი პასუხს იძლევიან და ერიდებიან პარლამენტისა და კომმონერების ჭკუის სწავლებას. Committee of supply's 20—23 სხდომა აქვს ბიუჯეტის გასასინჯავად, რის შემდეგ ბიუჯეტი ისევ პარლამენტს წარედგინება (ამას ჰქვიან report stage). აქ ხარჯთაღრიცხვის ნაწილებს ხანდახან უარყოფენ ან ხელმეორედ იხილავენ. ვსთქვათ სახელმწიფოს დეფიციტი მოელის და მინისტრი ახალ გადასახადის შემოღებას მოითხოვს. პარლამენტი ასეთის გადასახადს, თუ თანხმაა, მხოლოდ პრინციპიალურად ამტკიცებს. შემდეგ პალატა ცალკე, ბიუჯეტს გარედ, იხილავს ამ გადასახადს ისე, როგორც ყოველ ახალ კანონ-პროექტს.

ხალხის წარმომადგენლები დაწვრილებით არჩევენ და არკვევენ ბიუჯეტს, და არც მთავრობა და არც ხალხი არა სთვლიან დაკარგულად იმდროს, რომელსაც ოპპოზიცია ანდომებს საშინაო და გარეშე პოლიტიკის ყველა კითხვების აღძვრასა და განხილვას. ყველამ იცის, რომ ბიუჯეტი მჭიდროდ არის შეკავშირებული სახელმწიფოს ცხოვრებასთან და რომ ბიუჯეტის განხილვის დროს ყველა კითხვების აღძვრაში გამოიხატება პარლამენტის ზედამხედველობა სახელმწიფო მართვა-გამგეობაზე. მინისტრმა და ცალკე დაწესებულებათა უფროსებმა იციან, როგორის ყურადღებით იკვლევენ კომმონერები ყოველ ცალკე ციფირს, და ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობენ შეცდომის ასაცდენად და სცდილობენ ხარჯთ აღრიცხვაში მეტი რამ არ მოჰყვეს.

მაგრამ არა მარტო ბიუჯეტის განხილვაში გამოიხატება პარლამენტის ზედამხედველობა და სახელმწიფოს შესავალ-გასავალზე, ფინანსებზე. ყოველ შეკრების დროს, ყოველ სესსიაში, ესე იგი, პარლამენტი ირჩევს განსაკუთრებულს კომიტეტს, რომელშიაც შედიან ფინანსების მცოდნე და გამოცდილი კაცები, და ეს კომიტეტი ხელმეორედ იხილავს ე. წ. სახელმწიფო კონტროლის მოღვაწეობას. ასეთის საშუალებით მიაღწია ინგლისის პარლამენტმა, ერთის მხრით, მექრთამეობისა და ხაზინის ძარცვის ძირიანად აღმოფხვრას, და მეორეს მხრით—ბიუროკრატიულის წყობილების გამარტივებას.

**ივ. ზ—შვილი.**

პურიშკევიჩმა სთხოვა თავის ამხანაგებს, ეცადეთ შემდეგში ილიოდორს უფრო ლმობიერად მოეკიდოთო.

✦ **სამხედრო კავშირი.** გაზ. „რუსკ. ვედ.“-ს დეპეშით აუწყებენ პეტერბურგიდან, რომ იქ 18 აპრილიდან დღემდის დაატუსაღეს სამხედრო კავშირის 50 წევრი, რომელთა შორის რამდენიმე აფიცერია. ამათ უნახეს აკრძალული შინაარსის ნაწერები. ყველა დატუსაღებული პეტრე-პავლეს ციხეში დაამწყვდიეს“.

✦ **დეპუტატთა სახლების გაჩხრეკა.** დაღესტანის დეპუტატმა კარდაშევმა თავის ნათესავებისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „მთავრობასთან დაგაბეზღეს, რომ შენ სახლში იარაღისა და აკრძალული მწერლობის საწყობია. ამის გამო ტფილისიდან განზრახ ჩამოსულმა ჟანდარმთა პოლკოვნიკმა შენი სახლი გაჩხრიკა დაჳერაფერი ვერ აღმოაჩინა.

პეტერბურგში ხელმეორედ გაჩხრიკეს 8 მაისს სოც.-დემ. დეპუტატის ოზოლის სადგომი, სადაც ჩვეულებრივად სოც.-დემ. ფრაქციის კრება იმართება. სხდომის კარები დაჰკეტეს და არავის არ უშვებდენ გარედან. თვით ოზოლი შინ არ იყო: დამსწრე სოც.-დემ. სამ დეპუტატს ჟერუსს, პრიხოდკოს და კომარს ნება მისცეს გასულიყვნენ. მჩხრეკელ პოლიციელთა, პროკურორის 2 თანაშემწეთა და გამომძიებლის სიტყვებიდან გამოირკვა, რომ ისინი ეძებდენ „ნაკაზს“ პეტერბურგის სამხედრო ორგანიზაციისას, მაგრამ ვერაფერი ვერ აღმოაჩინეს.

✦ **უწყება ლიტვის ციხეში.** პეტერბურგის დიდ სატუსაღოში, ლიტვის ციხეში პირველ მაისს ტუსაღებმა უწესოება მოახდინეს. 400 კაცმა სამუშაოდ გამოსვლაზე უარი სთქვა. ამის გამო 38 კაცი კარცერში ჩასვეს, რამაც ტუსაღთა შორის დიდი მღელვარება გამოიწვია. 6 მაისს იმათ წარუდგინეს ციხის ადმინისტრაციას მოთხოვნილება, დაუყონებლივ გაანთავისუფლონ კარცერში მჯდომნი. ადმინისტრაციამ ეს მოთხოვნილება არ აასრულა. ამის საპასუხოდ ტუსაღებმა ფანჯრებისა და კარების მტვრევა დაიწყეს. სატუსაღოში ჯარი მოიწვიეს 400 ტუსაღთა შორის მხოლოდ 80 გამოვიდა სამუშაოდ. გაფიცულნი ადმინისტრაციამ ახალი წესით დასაჯა: უსადილოდ დასტოვა ყველანი. ბოლოს-და-ბოლოს სატუსაღოში გარეგნული სიმშვიდე დამყარდა.

### ჭიათურის საავადმყოფოს შესახებ.
(დასასრული*)

ბოლოს მე არას ვიტყვი იმაზედ, თუ ვის ტყუილებს უფრო მოკლე ფეხები აბია. არას ვიტყვი იმაზედ, რომ საბჭოც და წერილის ავტორიც მთელ უწესოებას ტყუილად აზვავებ თავზე საავადმყოფოს მოსამსახურეებს. რა უყონ მოსამსახურეებმა იმას, რომ საავადმყოფოს ოთახებში წარმოუდგენელი ვენტილიაციაა. რა უყონ იმას, რომ დიდად ნიჭიერ და შესანიშნავ ინჟინერ მიხაილოვის გეგმისამებრ გაკეთებული ზარული სუნს და სიბინძურეს გარედ კი არ იზიდავს,—პალატებისკენ მოერეკება; რა უყონ მოსამსახურეებმა იმას, რომ საავადმყოფოს პატარა სამოვარი აქვს, რა უყონ იმას, რომ წყალი გვიანობამდის არ მოდის; რა უყონ იმას, რომ საავადმყოფოს ეზოში ისეთი ტალახია, რომ ცხენსაც კი უჭირს გავლა და გზა ხომ პირდაპირ წარმოუდგენელია, ასე რომ სანამ ავადმყოფი აქ მოაწევდეს, თავისი ემართება; რა უყონ მოსამსახურეებმა იმას, რომ გადამდებ სენიანთათვის ბარგი აგერ ორი წელიწადია, რაც შიგნით ილესება, მაგრამ ვერ შეილესა; რა უყონ მოსამსახურეებმა იმას, რომ საავადმყოფოს ხშირად არა აქვს შეშა, რის გამოც ავადმყოფებისათვის პალატები ვერ გაუკეთებიათ; რა უყონ მოსამსახურეებმა იმას, რომ საავადმყოფოს ქონებას და შეშას დღეც და ღამეც ვიღაც ვიღაცები იტაცებენ შემის საწყობის უქონლობისა გამო და საავადმყოფოს ეზოს შემოუკავებლობისა გამო, და სხვა ათასი ამისთანა. თქვენ იტყვით, რომ გამგე ექიმმა და მისმა თანამშრომლებმა წინ და წინვე არ ივარაუდეს საქმე? თუ კი იტყვით იმას, მაშინ გთხოვთ გადახედოთ საქმეებს აქ საავადმყოფოში და ქუთაისში საბჭოს კონტორაში. გადახედეთ და ნახავთ, რომ თუმცა თავდარიგიც ადრევე იყო დაჭერილი და ზომებიც აღებული, მაგრამ ჯერ ბევრი არაფერი გაკეთებულა, არც გაკეთდება სანამ საბჭო აქ, ჭიათურაში არ გადმოვა, საქმეს პატრონები თვალით არ შეხედავენ და უფრო ბეჯითად არ კაუმღვებიან. მანამ არც იქიდან დეპეშების გზავნა მოისპობა... უკანასკნელად უნდა შევნიშნო, რომ თქვენს წერილში ისიც მართალია და მეც დარწმუნებული ვარო, რომ ინსინუაციებით გ. ზდანოვიჩს ახლი მოდის სოციალისტები ვერაფერს დააკლებენ», მაგრამ თქვენისთანა ვექილები კი ბევრს, რადგან ხომ გახსოვთ კრილოვის ერთი არაკი...

ეს წერილი უკვე დამთავრებული მქონდა, როდესაც «ისარი“-ს № 68 ვნახე ბ-ნ ნანეიშვილის ღია წერილი, ვითომდა ივანიკასადმი მიძღვნილი, მაგრამ უმთავრესად ჩემ წინააღმდეგ მომართული. წერილის ავტორს მიზნად დაუსახავს ჩემი «დაუკვირვებლად მოქმედებაა» დაასურათხატოს, ჩემგან გაგზავნილ დეპეშის მნიშვნელობა გააბათილოს და ამითი ორი კურდღელი დაიჭიროს: ჯერ სიმართლის მცველი გამოდგეს და მერმე ვიღაცების გული მოიგოს. ამისთვის მას მიუმართავს იმ ორდერების ციფრებისათვის, რომელიც თებერვალში დააკმაყოფილა აქაურმა საბჭოს კასსამ. საკვირველია, რად დასჭირდა ბ-ნ ნანეიშვილს ამ ორდერების მოძებნა და ამოწერა, და რათ დაივიწყა ის გარემოება, რომ დეპეშის გაგზავნის დღეს, როდესაც ტელეფონით შევეკითხეთ, გვიპასუხა, ფული არა მაქვსო, და როდესაც წინა დღითაც საავადმყოფოს ეკონომ-ზედამხედველსაც ასეთივე უარი უთხრა; რაც მან მთელი საავადმყოფოს ფერშლებთან განაცხადა: «გუშინ საღამოს ბ. ნანეიშვილთან ვიყავ, მაგრამ მას კასაში ყურ გახვრეტილი ფარაც არ მოეძევებაო.» მაშ ახლა რაღას ამბობს ბ-ნ ნანეიშვილი? მაგრამ მან იცის, რომ წერილობითი საბუთი არა გვაქვს ხელში მისი უარის შესახებ; იცის, რომ თვალსაჩინოდ მაშინდელმის მდგომარეობას ვერ დაუმტკიცებთ დი ამიტომ ახლა, რაც უნდა იმას იტყვის. ხან ისე და ხან ასეო, მეტი აღარაფერი გვეთქმის ახლა.

მაგრამ თუ მისგან ამოწერილ ორდერების შინაარსს კარგად დავუკვირდებით, ვნახავთ, რომ ბ. ნანეიშვილი იმ ორდერებით უმთავრესად წარსულ წლის ვალს ისტუმრებდა და არა თებერვლისას და რომ ამდენ ფულში თვით თებერვალს და ავადმყოფების საკვებ სურსათს (მაგ. კვერცხებს) აქვს მოხმარებული 24 მ. და 10 კ., დანარჩენი ფული კი ეკუთვნის აგვისტოს, სექტემბერს, ნოემბერს, დეკემბერს და იანვარს. ვისაც კი სურს ამაში დარწმუნება, გადახედოს აქ ორდერებს №№ 370, 374, 310, 296, 295, 23, 19, 20, 10, 16 და 30, რომელიც სრულად უდრის ბ-ნ ნანეიშვილის მიერ ამოწერილ №№ 156, 157, 161, 162, 163, 193, 200 201, 203, 215 და 217. ამ ორდერების გადახედვა თვალსაჩინოდ დაუმტკიცებს მსურველს, თუ რამია უმეტესად ეს ფული დახარჯული, რომელ თვეს ეკუთვნის ეს ხარჯი და რა მდგომარეობაშია, საზოგადოდ, ბ-ნ ნანეიშვილის კასსა.

უნდა შევნიშნოთ აქვე, რომ თებერვალში, ჩვენის ცნობით, დახარჯულა 390 მ. და 915*) და არა 414 მ. და 54 კ, როგორც ეს ბ-ნ ნანეიშვილს ჰგონია; ამ ფულში შედის აგრეთვე ის 135 მ. და 15 კ., რომელიც კასირს წვრილად წაღებულებში აქვს ნახსენები. აქედან ავადმყოფებ ს კვება-საზრდოობის საქმეს მოხმარებია 88 მ. და 6 კ., დანარჩენი კი თივაში, ბზეში, ნახშირში და სხვა ამისთანა რამეებშია დახარჯული.

ამის შ მდეგ დაკვირებულად მომქმედ კასირს კიდევ უკვირს, რომ ექიმმა ლოსაბერიძემ საბჭოში დეპეშის გაგზავნა გაჰბედა. ბ-ნო ნანეიშვილო, რად გიკვირთ და რად სწყრებით, თუ მცოდნემ თქვენი კასის მდგომარეობისამ, თქვენი უარის შემდეგ რომელიც პირუცვლელი კაცის სიტყვათ მივიღე, საბჭოს მივმართე დახმარებისათვის? მე კითხებით: «განა ამისთვის დაგჭირდა ბ. ივანიკა?-»ო, თქვენც და ჭიათურაში ყველამ კარგად იცის, რომ მებ. ივანიკა არ დამჭირებია და ამიტომ თქვენი კითხვა ისე ცბიერად არის დაყენებული რომ მეტი აღარ შეიძლება; ეს იმას ემსგავსება, მეც რომ გკითხოთ: «თქვენ, როგორც კუდი, ვიდას დასჭირდით, ბ-ნო კასირო?» მგონი სასიამოვნო არ იქნება ასეთი კითხვა?**)

**ექიმი ე. ლოსაბერიძე.**

*) იხ. „ისარი“ № 101.

*) იხ. ორდერები №№ 18, 20, 24, 26, 28, 31, 32, 33, 35, 36, 37, 38, 39, 40, 42, 43, 44, 46, 53 და 62.

**) ამ წერილის დაბეჭდვა ავტორისაგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო დაგვიანდა.

რედაქცია.

## დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგანი.
14 მაისი

**მოლოდეჩნო.** მატარებლის ლიანდაგიდან გადავარდნის დროს მოკვდა მემანქანე აცეკოვსკი, მისი თანაშემწე სურვისი, 6 მოსამსახურე. დაშავდა 5 მგზავრი.

**პენზა.** პენზის მაზრის სოფ. ტოლუზაკოვკაში უცნობებმა ეკკლესიის ფანჯარა შეამტვრიეს და მოიპარეს ოქროთ დაფერილი ჯვარი და ეკკლესიის ფული 9,000 მანეთი.

**კიევი.** გლეხები, რიცხვით ასი კაცი, თოფებით და სხვა იარაღით შეიარაღებულნი, დაეცნენ გრაფ შუვალოვის ტალნოვსკის ეკონომიას უმანის მაზრაში. ათმა ცხენოსანმა დარაჯმა სროლის შემდეგ გლეხები გაჰფანტა. არიან დაჭრილები. დარაჯის ცხენი დაიჭრა. 8 კაცი, იარაღით ხელში დაიჭირეს. დრაგუნები გაჰგზავნეს.

**ლიბავა.** სალდათების შორის პროკლამაციების გავრცელებისათვის ციხის მიდამოში დააპატიმრეს ადგილობრივ რეალურ სასწავლებლის მოსწავლე და გიმნაზიის მოსწავლე ქალი.

**პარიჟი.** სამართალში მისცეს 12 კაცი, რომელთაც ანტიმილიტარისტულ მოწოდებას ხელი მოაწერეს.

**იოჰანესბურგი.** გაფიცულები გაემართნენ «ტრეზი»-ს მაღაროსაკენ. იმათ მანიფესტაციის გამართვა სურდათ, მაგრამ წინ ცხენოსანი სალდათები გადაეღობნენ და დაშლა მოსთხოვეს. როცა უარი მიიღეს, თოფები გაისროლეს. გაფიცულები დაუყონებლივ გაიფანტნენ.

**ბერლინი.** 10 მაისს დააპატიმრეს რუსული სამკითხველოს გამგე და სამკითხველოში მოსიარულე რუსეთის რამდენიმე ქვეშევრდომი. «ბერლინერ-ტაგებლატი» ოფიციალურ წყაროებიდან იუწყება, რომ პოლიციის მიერ დაპატიმრებული ორ ანარქისტს რუს სტუდენტებთან ჰქონიათ მიწერ-მოწერაო. სამკითხველოების გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს ტერორისტული ლიტერატურა. რუსების დაპატიმრებამ საზოგადოება ძლიერ დააინტერესა. რუსების წინააღმდეგ დიდი უკმაყოფილებაა.

**პეტერბურგი.** ოლქის სასამართლომ, გამამტყუნებელ საბუთების უქონლობისა გამო, გაამართლა ანნენსკი და კოროლენკო, რომელთაც ჟურნალ „რუსკოე ბოგატსტვო“-ს ნაც ლად გამოსცეს «სოვრემენია ზაპისკი».

**ბერლინი** სიმართლეს მოკლებულია ინგლისის გაზეთების მიერ გავრცელებული ხმები, ვითომ გერმანიაში აღმოეჩინოთ გერმანელებისა და რუსების შეთქმულება იმპერატორ ვილჰელმის წინააღმდეგ და ვითომ ეხლახან რუსების დაპატიმრების ამ ამბავთან რამე კავშირი ჰქონდეს.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო კანცელარია. სხდომა გურკოსა და ლიტვინოვის საქმის შესახებ. სხდომის ჟურნალში სწერია: «მიცემულ იქმნას სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტს სამართალში მე-338, 339, 341 მუხლების ძალით, ხოლო მე-411 მუხლის ძალით დროებით გადაყენებულ იქმნას შინაგან საქმის მინისტრის ამხანაგის თანამდებობიდან. ლიტვინოვი ზემოხსენებულ სამ მუხლის ძალით ბრალდებისაგან განთავისუფლებულ იქმნას და მხოლოდ საყვედური გამოეცხადოს სამსახურის აღსრულების დროს უყურადღებობისათვის დეპარტამენტის დადგენილებას დასამტკიცებლად ხელმწიფეს წარუდგენენ.

საერო განათლების სამინისტრომ 125 ერობის თხოვნა მიიღო. თხოულობენ საყოველთაო სწავლა-განათლების შემოღებას. ყოველ წლობით საჭიროა 5.213,362 მანეთით დახმარება. ერთ დროულად წრეულს საჭიროა 2.254,853 მანეთი.

**ლვოვი** გორკუსში არჩევნების დროს ბრბომ გამოქვეყნებულ არჩევნების სიაწორეზე ეჭვი შეიტანა და ჟანდარმებს დაეცა, სახლის ფანჯრები ჩალეწა და სინათლე ჩააქრო. ჟანდარმების მოთხოვნაზე—დაშლილიყვნენ, მათ ქვები დაუშინეს. სამი ჟანდარმი დაიჭრა. ჟანდარმებმა იარაღს მიმართეს, 4 გლეხი მოჰკლეს და 9 მძიმედ დასჭრეს.

**პეტერბურგი.** 12 მაისს ცარსკოე სელოში ხელმწიფემ და დედოფალმა მიიღეს 19 კაცის`გან შემდგარი გლეხთა დეპუტაცია. ესენი ვოლინის გუბერნიიდან მოვიდნენ. დეპუტაციას პოჩაევის ლავრის არქიმანდრიტი ვიტალი წინამძღოლობდა.

**სმოლენსკი.** ოთხი შეიარაღებული და ნიღაბ აფარებული. კაცი თავდაესხა ფოსტალიონს, რომელსაც კორიტნიანსკის ფოსტის განყოფილებიდან სმოლენსკში კორესპონდენცია მიჰქონდა. ფოსტალიონს წაართვეს პარკი, ხმალი და რევოლვერი. თავდამსხმელნი მიიმალნენ.

**გროდნო.** ბობრინსკისა და მოსაზღვრე მაზრებში დააპატიმრეს ბრბო. ოთხი მათგანი გროდნოს საპატიმროდან გაქცეული ტუსაღია, ორი ქალი და ორი მამაკაცი. წაართვეს 7 რევოლვერი, სალდათის ხიშტი, პატრონები, 6 ტომარა 3 ჩემოდანი ნაქურდალ საქონლით სავსე, ორი ცხენი ფურგუნით. დაჭერილებმა იარაღით წინააღმდეგობა გასწიეს.

ბარანოვიჩაში დაიჭირეს სახალოვიჩი, რომელსაც ძარცვა-გლეჯაში მონაწილეობის მიღება ბრალდება.

**ბელოსტოკი.** ქალაქის მეუგულ ნოტარიულ იანოვსკის კანტორის დერეფანში ორი უცნობი ჩაუსაფრდა კანტორის კასსის გამგე ქალს. ქალს რევოლვერი მოუღერეს. 3100 მანეთი წაართვეს და მიიმალნენ.

**იუზოვკა.** 11 მაისს სად. რუტჩენკოვოს 15 შეიარაღებული კაცი დაეცა. გადასჭრეს ტელეგრაფის და ტელეფონის მავთულები, 10 მგზავრი და 12 სადგურის მოხელე ოთახში დაჰკეტეს, 56 მანეთი მოიტაცეს და მიიმალნენ. თავ-დამსხმელი კაზაკები დაადევნეს.

**ხერსონი.** მიშანოვსკის სახლში 5 ყუმბარა იპოვნეს. 3 ქალი დააპატიმრეს.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** 12 მაისს, ღამის 3 საათზე, სემინარიის პანსიონში ყუმბარა აფეთქდა. ფანჯრის მინები ჩალეწა. არავინ არ დაშავებულა. გაჩხრიკეს და 2 ყუმბარა კიდევ იპოვნეს.

**კალუგა.** სამ კაცს ტყიდან ყუმბარა მოჰქონდათ და ხელიდან გაუვარდათ. ყუმბარამ იფეთქა ერთი იქვე მოკვდა, ხოლო მეორეს, რომელიც კალუგის მოქალაქე მიხაილოვი აღმოჩნდა, 19 წლისა, ხელები მოჰგლიჯა, მესამე კი გაიქცა. მიხაილოვმა მოკლულის და გაქცეულის ვინაობა არ განაცხადა.

**რეჯიო** (იტალიაში). 12 მაისს 12 საათსა და 50 წუთზე მიწა ძლიერ იძრა.

**ბომბეი.** ... არეულობა მოხდა. მიზეზი ... ფულის ... 19 კაცი დააპატიმრეს. ქალაქში 50 ბ.ლიციელი გზავნეს. იმ ადგილებში, სადაც არეულობა ძლიერია, ჯარისა და პოლიციელ რიცხვს აძლიერებენ.

**რომი.** გარიბალდის დაბადების 100 წლის თავზე, რომელიც წრეულს უნდა იდღესასწაულონ, მინისტრ-პრეზიდენტმა კანონ-პროექტი შეიტანა, გადაიდოს ერთი მილიონი ლირა იმ მოხუც მეომართა შესაწევრად, რომელნიც გარიბალდის ხელ ქვეით იბრძოდენ სამშობლოს განთავისუფლებლად. კანონ-პროექტის წაკითხვას პალატა ტაშის ცემით მიეგება.

რედაქტორ-გამომცემელი
**ივ. ი. მჭედლიშვილი.**


## განცხადებანი



Форманъ

ფორმანი
ს უ რ დ ო ს
წინააღმდეგ
კოლოფი 25 კაპ
იყიდება ყველა აფთიაკ ა და სააფთიაკო მაღაზიაში
(Метцль 22093). (6—№ 9.—6)

საგარეჯოს-თხინვალის საკგარაკოში საბურთალოს ახლოს ვერაზედ
### იყიდება მიწები
25, 40, 60 და 80 კაპ. თითო ოთხკუთხი საჟენი ერთი წლის გადახდის ვადით ნაწილ-ნაწილად. მიწები იყიდება კიდევაც ნაჭრებად და ჩქარა გათავდება. ხელის მომწერთა სიის შესრულებისა და ბების შემოტანისათანავე მოხდება კენჭის ყრა და ყველას ჩაბარდება თავის ხვედრი მამული. მსურველთ შეუძლიანთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: სასახლის ქუჩა, ქართველ თავად-აზნაურთა სახლი № 153 დ. მაჭავარიანს და ნ. გელოვანს 9—2 საათამდე და 5—7 საათამდე. (15—92—1)

ტფილისის ქალაქის
### გამგეობა
ამით აცხადებს, რომ, 21 მაისს, ნაშუადღევის პირველ საათზედ, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომელიც იჯარით გაიცემა: 1). ქალაქის მიწის ნაჭერი მე-10 ნაწილში, ნიკოლოზის მოედანზე—შეშის და ხე-ტყის საწყობი; 2) ქალაქის რიყე მერვე ნაწილში, სათივე მოედნის პირდაპირ.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან გაიგოს პირობები ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10 დან 2 საათამდე. (3—6.—1)

საჭიროა უცხოელ კაპიტალისტებისთვის
**მარგანეცის**, სპილენძის, კობალტის და ანტიმონის მადნიანი ადგილები, აგრეთვე სხვა ლითონიანი ადგილები და დიდი მუხის ტყეები. მადნებისა და ტყეების პატრონებმა წერილობით უნდა მიმართონ ამ ადრესით:
Тифлисъ, Почтамтъ, почтовый ящикъ № 41. (3—79—3)

### იყიდება
ორი საუკეთესო ალგეთის ქვის ძეგლი ღირებულ ფასზედ დაკლებულია ორმოცი პროცენტი (40) მსურველთ შეუძლიანთ ისარგებლონ შემთხვევით. ადრესი: კუკიის სასაფლაოსთან, პირველი ქარხანა მიროტაძისა.
(3 - 91— 1) მეტივისცემით **ბ. ჯანელიძე.**

ახალი წიგნი
„ჭეშმარიტი სოციალისტი და ჩვენებური სოციალდემოკრატია“
ტ. ართმელაძისა, ფასი 10 კაპ.
იყიდება ამავე ავტორის შემდეგი წიგნები:
„სადღეისო საუბარი სოფლელ მკითხველებს“ . . . . . . . 20 კ.
„მეაურთა უმეტესობის უთაურობა და ჩვენებურ მებრძოლ ხალხის პირველი დამარცხება“ . . . . 10 კ.
„ბრძოლა ჩვენებურ პრესასა და საზოგადოებაში შეპარულ ნაკლულევანებასთან“ . . . . . . 35 კ.
„წერილი სოფლელ მუშას“ . . . 5 კ.
„სადღეისო წერილი ქართველ სოფლელებს . . . . . . 5 კ.
მისამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძეს. (7—72—6)

### მხოლოდ
იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი.** ყველას შეუძლიან დარწმუნდეს რომ

### კეფირი
### ო. კორონის
კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო საზოგადოებისაგან და დაჯილდოვებული სამი მედალით სამს გამ ფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძიმეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.
ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს
ლაქტობაცილინის რძე,
მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.
5 აპრილიდან მზადდება
**კუმისი**
მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.
(50—ხალ.—9) პატივ. **ო. კორონა.**



კომისიონერი მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი
### მ. ე. ფრიდონოვი
**ტფილისი, სერგიევის ქუჩა**, № 11.
აწვდის მსურველთ ვენახისა და ბაღების სამკურნალო წამლებს შაბიამანს ინგლისის საუკეთესო მარკისას; გოგირდს გაუმჯობესებულს საკუთარ საშუალებით; შესასხურებელს **ვერმორელის** სისტემისას; „ტოროპილებს“, საბერველებს, აგრეთვე ყოველგვარ იარაღს საბაღო და სასარდაფო მეურნეობისათვის, მაგალითად: ტუმბოებს, ფილტრებს, საქაჯავს, სეკატორებს, დანებს და სხვას.
შეიძლება დაკვეთა ხილის ხეებისა საკუთარ სანერგედან სადგურ „**სკრასთან**“. ქართული კატალოგები მსურველთ სახლში ეგზავნებათ. განყოფილება **ქუთაისში „კოლხიდასთან“**. (50—751—39)